

შპს „ეარფლეინ ტექნიკს“

2020 წლის
ფინანსური ანგარიშგება

დირექტორი

ვ. მორელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის

31/12/20

31/12/19

GEL

GEL

აქტივები**მოკლევადიანი აქტივები**

ფული და ფულის ეკვივალენტები

12,579

37,199

სავაჭრო მოთხოვნები

1,609,816

1,398,354

ნედლეული და მასალები

23,007

23,007

სხვა მოკლევადიანი აქტივები

40,403

104,721

სულ მოკლევადიანი აქტივები**1,685,805****1,563,281****გრძელვადიანი აქტივები**

ძირითადი საშუალებები

1,862,617

2,056,402

სულ გრძელვადიანი აქტივები**1,862,617****2,056,402****სულ აქტივები****3,548,422****3,619,683****კაპიტალი და ვალდებულებები****მოკლევადიანი ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები

1,069,014

734,717

ვალდებულებები საწარმოს პერსონალთან

24

24

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

2,175

7,524

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები**1,071,213****742,265****გრძელვადიანი ვალდებულებები**

გრძელვადიანი არასაბანკო სესხი

18,686,386

14,439,387

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები**18,686,386****14,439,387****საკუთარი კაპიტალი**

კაპიტალი

100,000

100,000

დაგროვილი მოგება/ზარალი

(16,309,177)

(11,661,969)

სულ საკუთარი კაპიტალი**(16,209,177)****(11,561,969)****სულ კაპიტალი და ვალდებულებები****3,548,422****3,619,683**


2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	2020 GEL	2019 GEL
ამონაგები	136,794	1,089,286
მომსახურების რეალიზაციიდან	136,794	1,089,286
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(10,306)	(552,238)
საერთო მოგება	126,488	537,048
დასაქმებულთა ანაზღაურება	(622,182)	(1,253,346)
ცვეთა და ამორტიზაცია	(189,785)	(222,682)
საპროცენტო ხარჯი	(1,342,973)	(1,090,517)
მივლინების ხარჯი		(132,037)
იჯარის ხარჯი	(270,102)	(283,526)
შესყიდული მომსახურების ხარჯი		(9,646)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(256,065)	(324,585)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2,681,107)	(3,316,339)
საოპერაციო ზარალი	(2,554,619)	(2,779,291)
ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან	(2,554,619)	(2,779,291)
ზარალი	(2,554,619)	(2,779,291)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	(2,087,138)	(866,385)
ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან	(2,087,138)	(866,385)
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(4,641,757)	(3,645,676)
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	(11,561,969)	(7,916,133)
პერიოდის ზარალი	(4,641,757)	(3,645,676)
სხვა ცვლილება საკუთარ კაპიტალში	(5,451)	(160)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(16,209,177)	(11,561,969)

2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2020 GEL	2019 GEL
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან <u>ფულადი სახსრების წმინდა ზრდა</u>	<u>(24,620)</u>	<u>30,644</u>
<u>სავალუტო კურსის ეფექტი</u>	<u> </u>	<u> </u>
<u>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</u>	<u>37,199</u>	<u>6,555</u>
<u>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</u>	<u>12,579</u>	<u>37,199</u>



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეარფლეინ ტექნიკს“ დაარსებულია 2015 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ბროსეს ქ. #2; საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორია. საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სამოქალაქო საჰაერო ხომალდების რემონტი და ტექნურუნველყოფა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში, ლარში (GEL).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, არაწრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი, მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 20 პროცენტი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი მოვიდა - პირველი გავიდა“ (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო ვალდებულებები

დირექტორი

ვ. მორელი



სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

3. განმარტებითი შენიშვნები

ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები

მუხლი „ფული და ფულის ეკვივალენტები“ (12,579 ლარი) ასახავს ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხების ჯამს, შემდეგი მნიშვნელობებით:

	31/12/20	01/01/20
ნაღდი ფული სალაროში	1,236	2,392
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	8,933	10,901
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	2,409	23,905

მუხლი „ძირითადი საშუალებები“ ასახავს საწარმოს ძირითადი საკმევანობის - სამოქალაქო საჰაერო ხომალდების რემონტი და ტექნიკური უზრუნველყოფა - განსახორციელებლად აუცილებელი მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების, საოფისე ტექნიკისა და ავეჯის ნაჩენ ღირებულებას.

მუხლი „ვალდებულებები საწარმოს პერსონალთან“ პერიოდის დასაწყისისათვის ასახავს 24 ლარის სიდიდის დავალიანებას პერსონალთან საქვეანგარიშო თანხებით. პერიოდის ბოლოსათვის დარჩენილია დავალიანებები საქვეანგარიშო თანხებით 24 ლარის ოდენობით.

მუხლი „გრძელვადიანი არასაბანკო სესხი“ აღნიშნავს არარეზიდენტი იურიდიული პირისგან (რიდლსფორდ ფინანსიალ სა) აღებული გრძელვადიანი სესხების მდგომარეობას. სესხი აღებულია ევროში და აშშ დოლარში, წლიური 10%-იანი სარგებლით.

პერიოდის დასაწყისისათვის მდგომარეობა შემდეგნაირი იყო:

ძირითადი	3,828,242 \$	10,978,250 ლარი
	97,000 EUR	311,321 ლარი

სარგებელი	82,371 \$	10,69,652 ლარი
	25,664 EUR	82,371 ლარი

ხოლო პერიოდის ბოლოსათვის:

ძირითადი	4,073,742 \$	13,348,023 ლარი
	97,000 EUR	390,260 ლარი

სარგებელი	1,466,709 \$	4,805,818 ლარი
	35,364 EUR	142,283 ლარი

დირექტორი

ვ. მორელი

საკუთარი კაპიტალი შემცირებულია პერიოდის ზარალის და 5,451 ლარიანი პირგასამტეხლოს ხარჯზე.

ბ) სრული შემოსავლისა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

მუხლის „ამონაგები“ მნიშვნელობა, 136,794 ლარი, მოიცავს 2020 წ. რეალიზებული მომსახურების ღირებულებას. აქედან 82,962 ლარის ამონაგები მიღებულია დამკვეთებისათვის საჰაერო აპარატების რემონტის და ტექდათვალიერების მომსახურების მიწოდებით, 49,467 ლარის ამონაგები - ანგარის ფართის მოკლევადიანი გაქირავებით, ხოლო 4,364 ლარის ამონაგები - საქონლის (ინდუსტრიული ზეთი) მიწოდებით.

მუხლის „საპროცენტო ხარჯი“ მნიშვნელობა (1,342,973 ლარი) მოიცავს პერიოდის განმავლობაში გრძელვადიან არასაბანკო სესხებზე დარიცხულ სარგებელს.

შპს „ეარფლეინ ტექნიკის“ საწარმოო სიმძლავრეები განლაგებულია საქართველოს აეროპორტების გაერთიანების საკუთრებაში არსებულ, აღნაგობის უფლებით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე აღმართულ ნაგებობაში (ანგარში). ხელშეკრულებით, აღნაგობის უფლების სანაცვლოდ განსაზღვრულია ფიქსირებული გადასახდელი - 25,960 ლარი თვეში. ურთიერთობა აღიარებულია ჩვეულებრივ იჯარად. ასევე საქართველოს აეროპორტების გაერთიანებისაგან იჯარით (1,800 ლარი თვეში) აღებულია ფართი ქუთაისის აეროპორტში. სულ საიჯარო გადასახდელების ხარჯმა პერიოდის განმავლობაში შეადგინა 270,102 ლარი.

შედეგად, პერიოდის განმავლობაში მიღებულია საოპერაციო ზარალი 2,554,619 ლარის ოდენობით. საკურსო სხვაობებით გამოწვეულმა ზარალმა შეადგინა 2,087,138 ლარი, ხოლო მთლიანმა სრულმა ზარალმა - 4,641,757 ლარი.

საკუთარი კაპიტალი პერიოდის განმავლობაში შემცირებულია პერიოდის ზარალით და 5,451 ლარიანი პირგასამტეხლოს ოდენობით. მისმა მნიშვნელობამ 31.12.2019 წ.-სათვის შეადგინა -16,209,177 ლარი.

გ) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან 24,620 ლარის ოდენობით.

პერიოდის დასაწყისში დაფიქსირებულია ფულადი სახსრები 37,199 ლარის ოდენობით, ხოლო პერიოდის ბოლოსათვის 12,579 ლარის ოდენობით.